№ 20
შაბათი, 19 იანვარი 1896

1877—1896

ივერია

№ 15
შაბათი, 20 იანვარი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი №227

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
01	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივანე როსტომაშვილის გამოცემანი 1896 წელს.

1896 წლის განმავლობაში გამოვა **18 ახალი** ქართული წიგნი და **1 ალბომი «ძართველთა ნათესავნი ანუ ტომნი»** (грузинскія племена) ასზე მეტი სურათით და მოკლე აღწერით. ოთხი წიგნი უკვე გამოვიდა და ახლა იბეჭდება მეხუთე და მეექვსე წიგნი—პესტალოცის კლასიკური მოთხრობა **«ლინგარდი და გერტრუდა»** ოჯახში შვილების აღზრდაზე და **«ფუტკრის ბუნებრი მოგვლა-მოშენება»**. ამათ შემდეგ, სხვათა შორის, დაიბეჭდება ორი შესანიშნავი თხზულება—**«ცივილიზაციის ისტორია ინგლისში»** ბოკლისა და **«ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა»** კარნოსი.

ფასი მთელის გამოცემისა **4** მანეთი.

ფული უნდა გამოიგზავნოს: г. Тифлисъ, Дав. пл. № 6, Ивану Павловичу Ростомову. (5—1)

ქართული თეატრი.

კვირას 21 იანვარს, 1896 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

პარისის ღარიბ-ღატაკნი

დრ. 5 მოქ. თარგ. ვალ. გუნიას მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა, ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ალექს. მესხიევი, კ. მესხი გუნია, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, მჭედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ოთხშაბათს 24 იანვარს, დანიშნულია ბენეფისი გ. გედევანოვისა.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ახალი ამბავი

—

*** 1 თებერვალს გამართულ იქნება კონცერტი და საცეკვაო საღამო დრამატიულ საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად. კონცერტის პროგრამა ძალიან ვრცლად და მშვენივრად არის შედგენილი. დიასახლისობა ინება ერეკლე ბატონიშვილის ქვრივმა თამარმა.

*** ახლად დასრულებულ პროფესიონალურ და ტექნიკურ განათლების რუსეთის მოღვაწეთა კრებაზედ, ტფილისის დელეგატის მოხსენებისამებრ, გარდაწყდა იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ ნება დართული იყოს სახალხო კითხვათა მართვა არა მარტო რუსულ ენაზედ, არამედ სხვა ერთა ენაზედაც რუსეთშიო.

*** როგორც ვაზ. „ნოვ. ობ.“-ე სწერს ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების ინსპექტორი ბ-ნი ბოგდანოვი ახალციხეს და სხვა ადგილებში თურმე მიდის საერო სასწავლებლებისა და სკოლების დასათვალიერებლად.

*** ამ რამდენიმე დღის წინად ვორონცოვის ხიდიდამ გადავარდა ერთი ქალი, რომლის შესახებაც არავინ-რა იცოდა და მხოლოდ ეჭვი ჰქონდათ, რომ ქალი ვითომ გენერალის ლიხოტინსკის სახლიდამ გადაეგდოთ. ამის საბუთად მოჰყავდათ ის გარემოება, რომ თოკი ამ სახლიდამ იყო გადაშვებული და ქალიც ამ სახლთან ჰყვიროდა მიშველეთო. მაგრამ, როგორც გაზეთი „კავკაზი“ სწერს, პოლიციის 9 ნაწილის ბოქაულს გამოუძიებია, და აღმოჩენილა, რომ ეს ქალი, შავებში ჩაცმული, წყლის პირის ქუჩიდამ ამოსულა 14 იანვარს, ღამის 11 საათზე, რაიცა დაუნახავს ქალაქის მცხოვრებს მაღხაზა გიგოშვილს. ქალი სწრაფად გადასულა ხიდის მარცხენა ნაპირზე და გადავარდნილა მტკვარში; წყალს მაშინვე ჩაუძირნია, მაგრამ მალე ისევ ზევით ამოუგდია და ლიხოტინსკის სახლის ბოლოში ორჯერ დაუყვირნია: «ვაიო»; შემდეგ ქალი ფეხზედ დადგა, წყლის ჩამოსადენ მილს მოეჭიდა და ყვირილი დაიწყო „მიშველეთო“. ამ დროს მოვიდა პოლიციის მსახური ქუჩის მცველი და დოლანოვის სადგურს ზარი დაუკრა და შეატყობინა, შემდეგ-კი თითონაც ჩავიდა სადგურში. მალე ქალმა შეჰნიშნა ლიხოტინსკის სახლიდამ გადაგდებული თოკი და ხელი მოჰკიდა, მაგრამ თოკი გაუწყდა და ქალი ისევ წყალში ჩავარდა და დაირჩოო. შემდეგ გიგოშვილმა დასძინა, რომ ამ ამბავს თავიდამ ბოლომდის თვალს ადევნებდა თავადი ზაქარია ალექსანდრეს ძე მაჩაბელი, რომელმაც მართლაც დაამტკიცა გიგოშვილის სიტყვები. მაგრამ ვინ არის ეს ქალი, ან რამ აიძულა დამრჩვალიყოო, ეს-კი ჯერ არ გამოურკვევიათ.

*** როგორც ამ ჟამად ტფილისში ჩამოსულის ინჟენერის რობის სიტყვიდამ სჩანს, ტრამვაის უსახელო საზოგადოება სთხოვს თურმე ქალაქს 25 წლით კიდევ ხსენებულს საზოგადოებასა ჰქონდეს ქალაქის ტრამვაი და პირობას აძლევს ელექტრონით ამოძრავოს ტრამვაის ვაგონები ყველგან, სადაც-კი ამ ჟამად გაყვანილია; ეს გარემოება $2^1/_2$ მილიონს ფრანკს ხარჯს მოითხოვს, მაშასადამე, ერთი-ორად მოემმტება ქალაქის წლიურს ხარჯსაც; საზოგადოება ჰპირდება ტრამვაის საქმე უფრო გააუმჯობესოს (ყველა სადგურებზე გაჰმართოს პავილიონები, იქონიოს საკმაო რიცხვი ვაგონებისა, უფრო სწრაფად ატაროს და სხვანი). ქალაქის საბჭოს კომისიის წევრთ განაცხადეს, რომ სასურველი იქმნებოდა საზოგადოების მოგებაში ქალაქს წილი ჰქონდეს, ჰქონდეს აგრეთვე უფლება კანტროლისა და საზოგადოებამ ახალი ლიანდაგი გაიყვანოს (დიდუბე-ნავთლულში და სხ.) და ელექტრონით გაანათოს ყველა ის ქუჩები, სადაც-კი ტრამვაის ლიანდაგია გაყვანილიო. რობიმ სთქვა, რომ საზოგადოება

ფელეტონი

ვაგონში

—

ერთს ზაფხულის დღეს ტფილისისაკენ მივდიოდი. მშვენიერი, წყნარი დღე იყო. საზოგადოდ ბუნება მიყვარს და ამისათვის მგზავრობაში მომეტებულს დროს მატარებლის ფანჯარაზედ გადაყუდებული ვატარებ. სწორედ ამნაირად ვიდექი ერთჯერ ფანჯარასთან და გადავსცქეროდი ტურფად გადაშლილს არე-მარეს. მტკვარი ზლაზვნით მიერყეოდა ჩვენს გვერდით; გრილი ნიავი მოჰბერავდა დასავლეთიდამ, ზღვასავით მოაღელვებდა ჯერ ისევ მოუმკავს, ოქროს ფერად მობიბინე ყანებს და თმების წეწვით მიგრილებდა სიცხისაგან გახურებულს პირისახეს. თვალის დახამხამების სისწრაფეს მიმირბოდნენ წინ ხან ჯაჭვი ჩახ[illegible]ებისა, ხან ბუჩქნარი, ხან თვალშ[illegible]ეუწვდენელი მინდვრები. დიდხანს [illegible]ადევნებდი თვალს იმათ სწრაფს ცვლებას და გამიტაცეს არა სასიამ[illegible]ვნო ფიქრებმა. გონებით გადავედი [illegible]დენიმე საუკუნით უკან და შევარე ეხლანდელი ჩვენი მდგომარეობ[illegible]ინდელს. თითქოს ჯიბრზედ, [illegible]ორო მეტად დამწვოდა გული [illegible]ულის გახსენებაზედ, მეტის სის[illegible]ოთ მიგვაქროლებდა მატარებ[illegible]ა ხან ერთს ნაშთს დამანახვებ[illegible]ებზედ ჩვენის წარსულის დი[illegible] მოწმეს, ხან მეორეს. შეეხედავდი თვალ-აუწვდენელს სიმაღლეზედ მედიდურად გადმოქიმულს რომელსამე შენობას და ნათლად წარმოვიდგენდი, თუ რა ძმობა, ერთობა და სიყვარული, რა მხნეობა, რა ვაჟკაცობა და რა თავ-განწირულობა უნდა ყოფილიყო მაშინ ჩვენ წინაპართ შორის, რომ გზა-ულვალს კლდეებზედ ატანილიყო მისი საშენებელი მასალა! ამ შემთხვევაშიაც ვადარებდი წარსულს აწმყოსთან და მკითხველი თითონ მიხვდეს, რასაც გრძნობდა ჩემი გული.

უცებ ამ ფიქრებიდამ ჩემს ზურგს უკან ხმა მაღალმა ლაპარაკმა გამომარკვია. მივიხედე და დავინახე, რომ ჩემი მეზობელი ერთი ყმაწვილი ქალი ევროპიულის ტანისამოსით და მის პირდაპირ მჯდომი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, ევროპიულისავე ტანსაცმელით, შემთხვევით გასცნობოდნენ ერთმანერთს და იმდენად შეჰყოლოდნენ რაღაცა ბაასს, რომ კინაღამ ჩხუბად გადაჰქცევოდათ.

ჩემის აზრით ძალიან სუსტი პატრიოტობაა, რომ სამშობლოს სიყვარულს ადამიანი მხოლოდ თავისს ენაზედ ლაპარაკით ამტკიცებდეს, ეუბნებოდა ყმაწვილი ქალი იმ დროს, როდესაც მივიხედე.

— არა, ბატონო, მე მაგას არ მოგახსენებთ, რომ კაცი მხოლოდ თავისს ენაზედ ლაპარაკობდეს, სულაც არა! მე მხოლოდ იმისთვის აღარ მომითმინა გულმა, რომ როგორც ვხედავ, ეს თქვენი ვაჟი შვილი (ამ დროს იმან მიათითა სამი თუ ოთხის წლის ბავშვზედ, რომელიც ქალს გვერდით უჯდა და რაღაცა სათამაშოებს აცოდვილებდა), სხვა ენაზედ ტიკტიკს, რაიცა ბუნების წინააღმდეგია?

მე ეს საგანი გულზედ მება და ამ ლაპარაკზედ სულ მთლად სმენად გადავიქეცი...

— რა გაეწყობა. დრომ ასე მოიტანა და რა ენაზედაც სჭირდება კაცს ლაპარაკი ცხოვრებაში, იმ ენაზედ უნდა ილაპარაკოს. დღეს ჩვენ შვილებს სხვა ენა სჭირდება და უეჭველია ამ ენაზედ უნდა ამოიდგან ენა, რომ კარგად გაივარჯიშონ და ბოლოს სასწავლებელში სწავლა არ გაუჭირდეთ,—უპასუხა ქალმა თამამად. უმეტესად თითონაც სხვა ენაზედ ბაასობდა, რადგან, როგორც ეტყობოდა, ამ ენაზედ უფრო ეხერხებოდა აზრის გამოთქმა.

— როგორ, ბატონო, წარმოსთქვა გაცხარებით ყმაწვილმა კაცმა,—მაშ თქვენმა შვილმა, ქართველმა, ქართული ენა აღარ უნდა იცოდეს?

— როგორ არ უნდა იცოდეს, რასაკვირველია, რომ ისიც უნდა იცოდეს და განა ვერ ისწავლის, როდესაც გაიზრდება? თითო ოროლა სიტყვა ეხლაც იცის და შემდეგ ეხმ უფრო გაივარჯიშებს, მიუგო ქალმა ისე თამამად, ვითომ სრულიად საბუთიანი იყო მისი პასუხი.

— ჯერ ერთი ესა, ბატონო, რომ თავდაპირველად თავისი ენა უნდა იცოდეს და ისიც სიყრმიდამვე. თუ ჩემი არა გჯერათ, თქვენც გისწავლიათ და კარგად უნდა იცოდეთ, რომ თვით გამოჩენილნი პედაგოგნი მივიდნენ მაგ დასკვნამდის. ეს საჭიროა მისთვის, რომ შემდეგში სხვა ენების შესწავლა ბევრად გაუადვილდეს ბავშვს. მეორე ესა, ყველამ კარგად იცის, რომ ბავშვს შეიძლება ორს, სამს ენაზედ დააწყებინოთ ლაპარაკი და შემდეგში სამივე ენა ზედმიწევნით ეცოდინება. მაშასადამე, ეს ვერაფერი სამართალი იქნება, რომ თქვენი შვილი სხვა ენებზედ იწყებდეს ლაპარაკს და თავისს ენაზედ-კი მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვა იცოდეს. მესამეც კიდევ ის, რომ თუ თქვენი შვილი თავისს ენაზედ არ ილაპარაკებს, ან ლაპარაკობს გაჭირებით, მაშ წერა-კითხვა როგორღა უნდა ისწავლოს? ან იქნება თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ ქართული წერა-კითხვა სულაც არ არის საჭირო თქვენის შვილებისათვის? ველარ მოითმინა და ღვარძლიანად დააბოლოვა სიტყვა ყმაწვილმა კაცმა.

— არა, რა გორღაც ორჭოფად უპასუხა ქალა, მე მაგ აზრისა არა ვარ, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს თავისს ენაზედ, მაგრამ მგონი რომ ბევრსაც არ დაჰკარგავს, თუ ეხლა და არა შემდეგში, როდესაც სწავლას გაათავებს, იმდენად შეისწავლის, რომ შეეძლოს გადაკითხვა ჩვენის ღარიბ ლიტერატურისა, მგონია, რომ ბევრის წაკითხვა არ დასჭირდეს და არც ბევრის გაგება. სამაგიეროდ სხვა ენებზედ ბევრს წაიკითხავს, გონება განვითარებული შეიქნება და სულ ერთი არ არის კაცისთვის ამ ენაზედ ილაპარაკებს თუ იმ ენაზედ, ოღონდ-კი კარგი კაცი იყოს და კარგად წაიყვანოს თავისი საქმე?

— ძალიან მიკვირს, რომ განათლებული ქალი მაგ აზრისა ბრძანდებით! ვსწუხვარ, თუ ყველანი მაგ აზრისანი არიან, როგორც თქვენ. ამას ხომ აუცილებლად ის მოჰყვება, რომ არც ერთს მომავალს ქართველს თავისი ენა აღარ ეცოდინება, მაშასადამე, სულ ბევრი, ასიოდე წლის შემდეგ ქართულის ენის ხსენებაც აღარსად იქმნება და თქვენ ამაში ცუდს არასა ჰხედავთ, ოღონდ-კი კარგი კაცები გამოვიდნენ თქვენი შვილები და კარგად წაიწყვანონ თავისი საქმე? ყმაწვილ კაცს თვალები ცეცხლივით აენთო, ხმა აუკანკალდა, ტუჩები აუთრთოლდა.

— რათა, რა ვქნა! თითქო შერცხვა ქალს ამ სიტყვებისა, განა სასწავლებელში-კი ვერ შეისწავლიან თავისს ენას?

ამ დროს მატარებელი გაჩერდა მცხეთის სადგურთან და ვაგონში შემოლაგდნენ მგზავრები. ჩვენს განყოფილებაში შემოვიდა ორი ქალი, ერთი თავ-დახურული და მეორე ევროპულად ჩაცმული. თავ-დახურულს ძუძუთა ბავშვი ეჭირა ხელში. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი დაიძრა.

დაიძრა თუ არა მატარებელი და ჩვენი ნაცნობი ქალიც დაჯდა ისევ თავისს ბინაზედ. ყმაწვილმა კაცმა განაგრძო გაწყვეტილი ბაასი.

— მაშ თქვენ იმედი გაქვთ, რომ თქვენი შვილები ქართულს ენას სასწავლებელში შეისწავლიან? ქალმა ნიშნად თანხმობისა თავი დაუქნია.— რომ სასწავლებლის შესახებ ძლიერ

სახეში იქონიებს ქალაქის ამ სურვილს და რაც შეიძლება მალე ვეცდებით წარმოგიდგინოთ პროექტი, რომ ქალაქის საბჭოში იქმნას შეტანილი აწინდელ ტრამვაის გამოსყიდვის მოხსენებასთან ერთადაო.

*** ს. მუხრანი: იანვრის 11, განთიადისას, მუხრანის მამასახლისმა ბ. ცანავამ დაიჭირა ს. მუხრანში ორი თათარი მათ-მიერ მოპარული ცხენითა და რამოდენიმე თოფი ფარჩეულობით. მართალია მამასახლისი ცდილობს ქურდობა როგორმე მოსპოს, მაგრამ ვერაფერს გამხდარა, რადგანაც სოფლის მახლობელს ტყეებსა და ჭალებში მემამულეებს თათრები დაუბინავებიათ, სადაც ჩადენილ ავაზაკობას ადვილად ინელებენ და არ ისჯებიან. განსაკუთრებით გავრცელებულია შინაურის ცხოველებისა და ფრინველების ქურდობა. გარდა ამისა მუხრანის გლეხობა დიდ განსაცდელშია უტყეობის გამო; აქამდის ოსებისაგან ყიდულობდნენ ურემ შეშას 3—4 მანეთად, ახლა-კი უგზოობის გამო აღარც იმათ მოაქვსთ შეშა და ვისაც-კი გაახნია ბაღებსა და ვენახებში ხეხილი, დაუზოგველად სჭრის და ჰკაფავს, რომ ცეცხლი აინთოს. საზოგადოდ მუხრანი ამ ჟამად ძალიან შევიწროებულია ყოველის მხრით. ბოლოს დროს აქ ძალიან აცივდა.

*** დ, ხონი: დადგა ახალი წელი, და თან მოჰყვა თოვლი და სუსხი; ახლა აქეთკენ ძალიან ცუდი ტაროსებია და განუწყვეტლივ წვიმს.

როგორც რამდენსამე პირისაგან გავიგეთ, ბ-ნს წერეთელს თავისს წიგნის მაღაზიაში სამკითხველოს დაარსება განუზრახავს და კიდევაც იმედი გვაქვს რომ შეასრულებს.

*** იქიდამვე: აქვე ორის ვერსის მანძილზედ სოფ. ქვიტირში იქაურ სამრევლო სკოლის მოწაფეებს ყვავილი დაერია. ამისათვის ამ ხანად სწავლა შეჩერებულია. 16 იანვარს დილით წვიმა გადიღო და ისევ თოვლს.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): კერძოური წელიწადი იყო ჩვენთის წარსული წელიწადი. ჩვენი სოფელი ნატოჩაო ერთი იმ სოფლთაგანია, სადაც უსგად ჭსარობს ყოველ გვარი მიწის მოსავალი. აქაური მიწა მუშას უსგად აჯილდოებს. მიუხედავად ამისა წარსული წელიწადი საზოგადოდ ძუნწი და გაუმეტებელი შეიქმნა ყველასთვის. მით უმეტეს, რომ იმ ადგილებშიაც-კი, სადაც გლეხი ორას-სამას ფუთს სიმინდს ჭყიდდა სარჩოს გარდა, საუბედუროდ, გასაყიდი-კი არა, საჭმელად სამყოფი არ მოსულიყო. ახა წარმოიდგინეთ, რითი და როგორ გამოჭკვებოს სიბრალო ფუსარამ მთელი მისი ჯალაბობა? ან და რითი უნდა გაისტუმროს ოჯახის ყოველგვარი მოთხოვნილება? ახლა აქეთ გარდასახადის აკრეფა, რომლისათვის გზირები დადიან სოფლად და გაიძახიან: „ფული, ფულიო“-ო. რომელი წყაროდამ დაკმაყოფილონ მთხოვნელები, როცა ფულის საშოვნელი წყარო აქეთ არაფერია, გარდა სიმინდისა? სიმინდმა ხომ ყველას „ნატარში ყოფი ამოგვიყლო“. საბოლოოდ, ვერ კიტყვით, რომ ასეთი ქესატობა ფულისა თუ კინმეს ახსოვდეს ჩვენში. ქესატობისა გამო, რომ წელიანაც გითხარით და ეხლაც გიმეორებთ, რომ მხოლოდ გარეგმოების ბრალია და სხვა არაფრისა!.. ქართველმა კაცმა სულაც რომ ვერ ილაპარაკოს ქართულად, გულით მაინც სამუდამოდ ქართველი იქნება; ოღონდ სხვა-ფრივ შეიძლოს სამშობლოს სიყვარულის გამოხატვა და მარტო ენით-კი არა მტკიცდება-რა.

— რასაკვირველია, რომ მარტო ენით ყოველივე არ მოხდების, მაგრამ ენა ბევრს წარმოადგენს; ყოველი ერი განირჩევოდა და განირჩევა ეხლაც ერთმანეთში ენითა და რჯულით. რჯული რომ გამოიცვალოთ, განა მაინც ქართველი დარჩებით? თუ ეს ასეა, მაშ რითი ჩამოგვრჩნენ ჩვენი მოძმენი, რომელნიც დაფანტულნი არიან სხვა-და-სხვა კუთხეებში და ძალა-უნებურად მიუღიათ სჯული და ენა? ამითი არიან ჩამორჩენილნი და აღარ იწოდებიან ქართველებად.

აქ-კი სწორედ გაუჭირდებოდა ქალს პასუხი, მაგრამ იმის იღბალზე ვაგონის უკანასკნელი სკამიდამ უცებ მოისმა მცხეთის სადგურიდამ შემოსულთა ორი ქალის ხმა მაღალი სიცილი და პატარა ბავშვის ტყიპინი. ჩვენ სამივემ უნებურად მივაქციეთ მათ ყურადღება. ბავშვი მეტად გამხიარულებული იყო და დედას კალთაში აღარ უდგებოდა. ორივე ხელებით ეტოტინებოდა სახეზედ და განუწყვეტლივ ტიტინებდა თავისებურად და მამიდაც, როგორც ლაპარაკიდამ აღმოჩნდა, შეჰხარიოდა და უალერსებდა საყვარელს ძმისწულს.

— რა იყო, გენაცვა, რას ტიტინებ? გიხარიან შვილო, „ტოტასთან“ ამის გამო ხალხს ამ წლის იმედიც არა აქვს.

ტრიფონ კალანდარიშვილი.

15 იანვარს, 1896 წ.

ახალ-სენაკი.

„სოფლის მოღვაწეების“ რეცენზეტს

(„ივერია“ №6 1896 წ. *)

კერძო პირს სხვათა შორის იმით შეუძლიან ემსახუროს საზოგადოებას, რომ უწყებული იდეები დანერგოს და გაავრცელს ხალხში. კარგად მოეხსენება მკითხველს, რომ დღეს მეტად დაქვეითებულია ჩვენი სოფელი, მეტად უთავ-ბოლოდ მიდის მისი კერძო და საზოგადო ცხოვრება. ყველა შეგნებულის ვალია საზოგადო მსჯელობის და შესწავლის საგნად გახადოს იგი, რათა ახლო მომავალში, ერთს გარკვეულს გზას დაადგეს საზოგადოების და თვით კერძო პირთა აზრი, როგორც ამბობს ო. ბონტი: „პროგრესი მიზანია და წესი-საფუძველი“.

ეს გვქონდა სახეში, როცა ჩვენ დიდის სიამოვნებით გამოვეცით მოთხრობა პატივცემულის ი. ჩიტაძისა „სოფლის მოღვაწენი“, რომელშიაც გატარებულია ის აზრი, რომ დედასაფუძველი ცხოვრების პროგრესისა არის სწავლა, მაგრამ სწავლაც არის და სწავლაც: წინააღმდეგ დღევანდელი სახის სწავლისა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, ჩვენ-მიერ გამოცემულს მოთხრობაში დასურათებული სკოლის სწავლა თავიდამ ბოლომდე გამსჭვალულია საზოგადო სამსახურის იდეით, მოსწავლის ფართო განვითარებით. თქვენ ზღაპრად მიგაჩნიად ეს, მაგრამ მიიხედ-მოიხედეთ გარშემო, განსაკუთრებით შეისწავლეთ ჩვენი მეზობელი ხალხის სკოლების სული და გული და დარწმუნდებით, რომ დიდად ადვილი საქმეა შეაგნებინოთ სოფლის მოზარდ თაობას, თუ რა არის კერძო და საზოგადო სიკეთე, კერძო და საზოგადო სარგებლობა...

მე იმ აზრის მიმდევარი ვარ, რომ სანამ თვით კერძო პირები არ ვიქნებით უფრო უკეთესნი, უფრო კეთილნი, უფრო მოტრფიალენი კერძო და საზოგადო საქმისა, იმ დრომდე ტყუილია, ვითომ თქვენ შეიძლოთ მთელი სოფლისა და საზოგადოებიე წინ წაწევა, ფეხზე დაყენება. ამიტომ სკოლას შემდეგ, რომელიც ამავე აზრს ემსახურება და ამიტომ უნდა იყოს საფუძველი ცხოვრების განახლებისა, დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ პატარებისთვის სკოლის შემდეგ, თვითონ მოზრდილების სწავლას და გაწვრთნასაც უნდა ვცდილობდეთ, როგორც შვრება ამას ჩვენ-მიერ გამოცემული მოთხრობის გმირი-გიორგი შრომელაძე. იგი, გარდა იმისა, რომ სულ განახლებულ სოფლელად გამოჰყავს მოთხრობას სკოლაში შესვლის წლიდგანვე, სკოლიდამ რომ გამოდის, ამ შემთხვევაში. რომელი გლეხკაცის პირიდამ არ გნებავთ, რომ არ გაიგონოთ: ეგ ხომ სულ «სერავნია»; „აბაჟდი“ კაცო, „აბაჟდი“; ჯერ მაგას დაიკადე ლაპარაკი, რას „ესპორები“. ან კიდევ: მე „გოუჩისტამ“ მაგას საქმეს და თუ გამიბედა რამე, «ზდაშსაც» კარგს მიიღებს... აბა, იფიქრეთ, ბატონო, ამისთანა ენა რომ არ იყოს, ის არა სჯობიან?

— მერე რა ნაირად უნდა უშველოს მაგ საქმეს? ხომ ვსთქვათ სკოლების გამრავლებით შეიძლება გასწორდეს ენაო ამაზედ ხომ ვამბობთ, რომ სასწავლებლიდამ თითქმის არა გამოაქვთ-რაო, რადგან ცოტას ასწავლიან, და მაშ რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა ამ მდაბიო ხალხთან მაინც? შეეკითხა ყმაწვილი ქალი.

— ეგ საშუალება უნდა მოიძებნოს ჩვენს ინტელიგენციაში, ქალი არის თუ კაცი, ეს სულ ერთია. ეს არის მოვალეობა ინტელიგენციისა, მხოლოდ იმისი და სხვისა არავისი. ყოველს სოფელს, სადაც-კი იმყოფება თუნდ ერთი განათლებული კაცი, უნდა უეჭველად ეტყობოდეს ის, რომ გონება დახშულს, სიბნელით მოცულს ხალხში ანთია ლამპარი, რომელიც შეძლებისა დაგვარად უნათებს მათ გზას, სწრთვნის იმათ ბურუსით მოცულს გონებას... რა ვუყოთ, რომ სხვა და-სხვა უკულმართის მიზეზისა გამო მოკლებულნი ვართ იმ ბედნიერებას, რომ ყოველ სოფელში გვქონდეს ჩვენთვის შესაფერი სასწავლებელი? იქნება მოვიდეს ეს სანატრელი დროც; მანამდის-კი თვითეული განათლებული კაცი უნდა იყოს განხორციელება იმ სანატრელია სკოლისა სოფელში, სადაც ის იმ დროს იმყოფება. მაშინ ყველა ჩვენთაგანი დარწმუნდებოდა, რომ ამ ნაირი საღსარი უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ხალხს იმ პირობებთან შედარებით, რა პირობებითაც დღეს ცოტანი, მაგრამ მაინც, არსებობენ სკოლები ჩვენს სოფლებში... ამის ნაცვლად რასა ვხედავთ? ჩვენს ახალს თაობას ჯერ ისევ მაღალ სასწავლებელში ყოფნის დროს რა მაღალი აზრები არ უტრიალებთ თავში, რა ძალ-ღონეს არა გრძნობენ სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის საბრძოლველად, რა იმედებს არ გვიქადიან, მაგრამ სახლში დაბრუნებასაც ველარ ასწრებენ, რომ მაშინვე სამსახურის შოვნას შეუდგებიან ხოლმე ქალაქ-ადგილას. ბევრი თხოვნისა და ღრეჩის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი, უფრო ბედნიერს ვარსკვლავზედ დაბადებული, იშოვნის ხუთ-ექვს თუმნიანს ადგილს, მიიკრავს შუბლზედ «კაკარდას» და ქუჩაზედ გავლის დროს სულ იმასა ჰფიქრობს, ეხლა რომ ჩემმა ნაცნობმა ქალმა გაიარა, ნეტავ შემამჩნია თუ არა ახალი ფორმის ქუდიო? სადღა ახსოვს ის აზრები, სოფელში რომ აპირებდა დაბინავებას, სკოლის გამართვას, მდაბიო ხალხის გონების განვითარებას? მათის სნეულებისაგან განკურნებას და სხვა ბევრ ამ ნაირ მბრწყინვალე აზრების განხორციელებას? ეხლა იმას-ღა ჰნატრობს თანდა-თან უმაღლესი ადგილი დაიჭიროს, რომ სიბერე ტკბილ-ფუფუნებაში გაატაროს. ეხლა ის თავისს თავს იქნება კიდეც დასცინის იმ საქციელი-

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ბ. როსტომაშვილის თხოვნისამებრ, მაგრამ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: სკოლისა და ხალხში სხვა-და-სხვა იდეების გავრცელების წინააღმდეგ რასაკვირველია არა ითქმის-რა და არც არავის უთქვამს-რა. მაგრამ ის-კი ნამდვილია, რომ სკოლა და ქადაგება იმ სასწაულს ვერ შექმნიან, რომელიც მოთხრობილია ბ, ჩიტაძის მოთხრობაში.

რედ.

მეტი არა მომივიდეს-რა, მაგის პასუხად მხოლოდ ორს კითხვას მოგცემთ, სთქვა ყმაწვილმა კაცმა.

— ბრძანეთ.

— თქვენ ხომ სწავლობდით სასწავლებელში?

— დიახ და დავათავე კიდეც „ზაველენია“, როგორც წელიანაც მოგახსენეთ.

— აბა უკაცრავად-კი ნუ ვიქნები თქვენთან, მორიდებით უთხრა ყმაწვილმა და გულ-ახსნით მიბრძანეთ, იცით თქვენ ქართული ენა?

ქალს ეს კითხვა არ მოეწონა, მაგრამ იძულებული იყო დასთანხმებოდა, რომ ქართული ენა თითქმის არ იცოდა.

— აი, ხომ ნახეთ, რაც მოგიტანათ სასწავლებელმა. საწავლებელში შესვლამდის-კი რომ სულ თქვენი ენა გსმენოდათ და აგრეთვე ზაფხულობით, როდესაც სწავლის შემდეგ ისვენებდით სახლში, ეხლა თქვენთვის გასაჭირი არ იქნებოდა ქართულ ენაზედ ლაპარაკი და უეჭველია თქვენს შვილსაც ამ ენაზედ დააწყებინებდით ლაპარაკს. ეხლა-კი რასა ვხედავთ? თქვენ ძლივს გეხერხებათ ქართული, თქვენ შვილს უფრო ნაკლებად ეცოდინება და შვილისშვილს ხომ სულ უნდა გამოვეთხოვოთ, ის საჩვენოში აღარ იქნება. განა არ მეთანხმებით ამაზედ? განა მართალს არ მოგახსენებთ?

— მართალია, სწორედ მართალი, რომ სასწავლებელში ძალიან ცოტასა სწავლობენ სამშობლო ენას ჩვენი შვილები, მაგრამ—აქ ქალმა იმნაირად გაიღიმა, თითქოს ბოდიშს იხდის, რომ ვერ გეთანხმებიო,—მაგრამ მიდიხარ ქალაქში? „პაპაშა“ რომ იქ დარჩა, „პაპაშა“-კი არ გინდა, ბიჭო?

ამ სიტყვებზედ გულში გამეცინა და ყმაწვილ კაცს ჩუმად გადავხედე. სწორედ არ მოვსტყუვდი, რაც გავიფიქრე იმ დროს. ყმაწვილს სახე თითქმის შეშლოდა უსიამოვნებით და თითქო იმ ქალის ჯავრსა ყრილობსო, მოუბრუნდა ისევ მომუსაიფეს:

— აბა, ბატონო, ამ დამახინჯებული ენისას რაღას იტყვით? აი ამნაირს უბედურს მდგომარეობაში გახლავთ დღეს ჩვენი ენა: ან სულ არ ვილაპარაკებთ ქართულად, ან თუ ვილაპარაკებთ და აი ამნაირის სიტყვებით შემკულზედ, როგორც „ტოტა“ და „პაპაშა“. ეხლა მაგ ქალს დიდი განათლება ჰგონია ამ სიტყვების ხმარება. რუსული არ იცის და ეს მეტად სამარცხვინოთ მიაჩნია. იმიტომ იმეორებს იმ სიტყვებს, რომელნიც თუთიყუშისავით დაუსწავლია და ის-კი არ ესმის, რა ულმერთოდ ამახინჯებს ენას. ვინ არის ჩამგონებელი, ვინ არის კარგი მაგალითის მიმცემი? განა ესევე არ გვესმის ჩვენის განათლებულ დედებისაგან: ,,ტოტა'' გეძახის შვილო! ,,მამინკა, პაპაშა'' მოვა და შენ დ. ,,ჟორეს'' წაგიყვანთ ,,საგულაოთ''. ამასთან რაღა გამიკვირდეს ჩვენის მეეტლეების ამ ნაირადვე დომხალივით არეული ენა: კაცო, მაგ ,,კალესოს დაუნა ზადეო'', ბიჭო, ეგ ,,ხამუთი გამაზეო'' და სხვა. მაგრამ ამას ვინ სჩივის, კიდევ მეტი უბედურება ეს არის, რომ ეს ჩვენის ენის დამცველნი გლეხ-კაცობაც აირია ამის გამო ხალხს ამ წლის იმედიც არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირველეს ყოვლისა თავის დას და ამხანაგს—ანდრია მამუკაშვილს ასწავლის წიგნსა, ჭკვა-გონებას უნათლებს კარგი წიგნების კითხვითა და ამით გვაჩვენებს, რომ საზოგადო მოღვაწემ არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ეს მხარე წინ-სვლისა...

მოთხრობაში სხვათა შორის გატარებულია ის აზრიც, რომ სოფელში სასმელების, დუქნის სასსენებელიც არ უნდა იყოს და თუ არის იქ დუქანი, მოღვაწის უპირველესი ვალია ძირიანად ამოაგდოს მისი არსებობა, ანუ როგორც ამბობს მოთხრობის გმირი: „როგორც ძველი ქრისტიანები ანგრევდნენ საკერპოებსა და მათ მაგიერ ეკკლესიებს აშენებდნენ, მე და ანდრია მამუკაშვილიც ისე მოვიქეცით: დავანგრიეთ ჩვენი დამაბნელებელი დუქანი და იმის მაგივრად იმავე ალაგზედ ავაგეთ ჩვენი განმანათლებელი სკოლა“...

აზრი ამისი მარტივი და ადვილი გასაგებია: როგორც ვსთქვი, საზოგადოების განახლება მხოლოდ კერძო პირთა ცხოვრება-ხასიათების განახლებით შეიძლება უპირველეს და ამიტომ სხვათა შორის სრული სიფხიზლის გონზე უნდა დააყენონ საზოგადოების წევრნი, გონება-ფხიზელნი გახადოთ ისინი და მხოლოდ მას შემდეგ შეგეძლებათ ოვითონ საერთო საქმის უკეთ და სავსებით წაყვანაც. ეს აზრი—დვინისა და **არუეულის სმარება-მოსპობის** შესახებ, ჩვენ უფრო ვრცლად და გადაჭრით გვაქვს გაყვანილი ამ წლის მეოთხე წიგნში („დროა გონს მოვიდეთ“) და ამიტომ უმჯობესია მკითხველმა ისევ ის წაიკითხოს.

ასეთივე აზრიანი საფუძვლები აქვს დანარჩენ კითხვებსაც, რომლებზედაც-კი არის ლაპარაკი მოთხრობაში, მაგრამ კმარა. ვიტყვი მხოლოდ, რომ სიკეთე ითესება ამ ქვეყნად სხვათა შორის საზოგადოების შეგულიანებით და უწყებული იდეების და შეხედულობათა დანერგვით და გავრცელებით ხალხში და არ ვიცი, ღმერთმანი, თქვენ რატომ იწუნებთ მოთხრობის, თუნდა ზღაპრის, საშუალებით მათს გავრცელებას? დასასრულ არ შემიძლიან არ ვისარგებლო დღევანდელი შემთხვევით და არ განუზიარო საზოგადოებას, რომ საზოგადო მოღვაწეობის შესახებ ამ ერთი წიგნით არ დავკმაყოფილდებით. ჩვენ კიდევ ბევრ სხვა თხზულებებს გამოვცემთ მის შესახებ, რათა უფრო ვრცლად და გარკვევით გავითვალისწინოთ ყველა ის კითხვები, რომლების გადაწყვეტა ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება ჩვენთვის საჭირ-ბოროტო...

ივანე როსტომაშვილი.

12 იანვარი, 1896 წ.

უცხოეთი

იგლისი. ამ ბოლო დროს ინგლისური პრესსა უცნაურს ხმებს ავრცელებს ინგლისის საზოგადოებაში. მაგალითად „პოლ-მოლ-გაზეთი“, თავისი სტამბოლელი კორესპონდენტის ტელეგრამით ამტკიცებს: 10 იანვარს რუსეთსა და ოსმალეთის შორის მოგერებითი და მიტევითი ხელ-შეკრულობა შედგა და კიდევაც დამტკიცდა პეტერბურგშიო. იგივე გაზეთი იუწყება; „გუშინ საფრანგეთის ელჩი სტამბოლში, კამბონი, სულთანმა ინახულა და მთელი ორი საათი ესაუბრაო“. ამ ფაქტიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, საფრანგეთი რუსეთისა და ოსმალეთის კავშირს მიემხროვო.

მეორე ინგლისური გაზეთი „დეილი ქრონიკლი“ იუწყება, საიდუმლოდ გვატყობინებენ, რომ ინგლისს ყველაზე უფრო რუსეთთან დაახლოვება სწადიანო და ამიტომ სცდილობს მასთან თანხმობით გადასწყვიტოს ხმელთა შუა ზღვისა და წყნარი ოკეანეს შესახებ კითხვებიო.

—

ესპანია და კუბა. მკითხველებს ახსოვთ ალბათ, რომ ესპანიის ჯარის სარდალმა კუბაზე, მარტინეც კამპოსმა, თავი დაანება სარდლობას და მის ადგილას დაინიშნა გენერალი ვეილერი. ჰავანაში ის მივა 12 თებერვალს, ხოლო სამხედრო მოქმედებას 25 თებერვალს შეუდგება. კუბის აჯანყებულთაც ახალი წინამძღოლნი მიემატნენ. ერთი მათგანი ესპანიის ჯარის ოფიცერი იყო, მანუელ სუარეცი. ის გადუდგა ესპანიას და მიემხრო აჯანყებულთ. შესანიშნავის ნიჭით და გამბედაობით დაჯილდოებული სუარეცი ყველა კუბელთათვის საყვარელ სარდლათ გარდაიქცა. თუ კუბამ დამოუკიდებლობა მოიპოვა შესაძლებელია სუარეცი იქმნას არჩეული თავისუფალ ქვეყნის პირველ პრეზიდენტად. აჯანყების დაწყებიდან დღემდის კუბელნი სჯობნიან ესპანელთ. უკანასკნელთ დიდძალი ჯარი გაიყვანეს ბრძოლის ველზე, მაგრამ ჯერ ჯერობით ვერაფერი გააწყვეს. ვნახოთ, რას მოახდენს ახალი სარდალი—გენერალი ვეილერი?!

—

ოსმალეთი. კონსტანტინოპოლიდან იწერებიან, რომ დიარბექირსა და ხარფუთში ქურთები ჯერაც არ დაწყნარებულან. შაქირ-ფაშამ მათ წინააღმდეგ გაგზავნა ოსმალელთა რაზმი, რომელიც, როგორც ისმის, ქურთებმა უკუ აქციეს.

ზეითუნელებთან მოსალაპარაკებლად უცხო სახელმწიფოების ელჩებმა აირჩიეს იტალიის კონსული ალეპოში.

—

საფრანგეთი. თებერვლის დამდეგს დაიწყება სასამართლოში გაზეთ „ფრანს“-ის საქმის გარჩევა. გაზეთმა, როგორც მკითხველებს ახსოვთ, დასტამბა ამას წინად სია 104 დეპუტატთა, რომელნიც ვითომ მოყიდულნი იყვნენ პანამის კომპანიისაგან. საჩივარი განაცხადეს ზოგიერთებმა, ამ სიაში აღნიშნულებმა.

—

სერბია. გაზეთების სიტყვით, სერბიის მთავრობა მალე დანიშნავს კომიტეტს, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი ახალის კონსტიტუციისა. ამ კომიტეტში ყველა პარტიებს ეყოლებათ წარმომადგენელნი.

ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ეხლანდელს სულთანს ოსმალეთისას ტახტი ფადი შაჰისა ერგო იმიტომ-რომ ჯერ ოსმალოს ლიბერალთა დასმა, რომელსაც წინ უძღოდნენ მიდჰად-ფაშა, მეჰმედ-რუშდი და ჰუსეინ-ავტი, აითვალწუნა მაშინდელი სულთანი აბდულ აზიზი, მომხრე ძველის ოსმალეთისა, და იქამდე მივიდა საქმე, რომ აბდულ აზიზი მოჰკლეს კიდეც. აბდულ აზიზის შემდეგ ტახტზე ავიდა ძმის-წული მისი მურად V, რომელიც დაადგა ლიბერალთა – პატრიოტთა გზას. ძველის ოსმალეთის დასს ეს არ მოეწონა და „ახალ-ოსმალთა“ დასს აჯობა. საბრალო მურად V-მ ისულთნა მხოლოდ სამი თთვე, მას მერშედ გიჟად იქმნა გამოცხადებულ და დაამწყვდიეს ტყვედ. 1876 წ. 31 აგვისტოს სულთნობა ერგო ეხლანდელს სულთანს აბდულ-ჰამიდს II.

პირველ ხანში აბდულ-ჰამიდი II მიდჰად-ფაშას, რომელიც ხელ-ახლად გაძლიერდა, უჯერებდა ასე, რომ 1876 წლის ბოლოს პარლამენტიც-კი მიუბოძა ახალმა სულთანმა ოსმალეთს და მით გააოცა მთელი ევროპა. რეფორმების მომხრენი სიხარულით აივსნენ, ძლივს გზა გაეხსნა ჩვენს ბრწყინვალე მერმისსაო. დესპოტობის მომხრეთათვის ძნელი არ იყო ეჭვიანი სულთანი თავისაკენ გადმოეყვანათ: ბიძისა და თავისის უფროსის ძმის თავ-გადასავალი თვალ-წინ ედგა. პარლამენტს მალე მოეღო ბოლო. საქმე ისევ ძველს კვალში ჩასდგა და ძველ გზაზე წავიდა. „ახალ-ოსმალთა“ დასი რისხვასა და ექსორიას მიეცა.

მას აქეთია აბდულ-ჰამიდი ჩაიკეტა თავისს სრა-სასახლეში, ხოჯებმა და შეიხჰებმა ჩაიგდეს ხელში მთელი საქმეები. მინისტრებმა ველარა გაბედეს რა, რაკი ჰხედავდნენ, რომ სასახლის კაცთა უფრო უგონებდა სულთანი, ვიდრე მინისტრებსო. ღირს-საცნობია, როგორ კაცების ხელში ჩავარდა სულთანი. აი ამ საგანზე რასა სწერენ.

ყველაზე გავლენიანი კარის-კაცთა შორის, ყველაზე მეტად მიჩნეული სულთანისაგან დიდხანს ყოფილა ჰაი-ალი-ბეი, ლალა და გამზრდელი აბდულ-ჰამიდისა. გულით კეთილი კაცი ყოფილა, ხასიათით ტკბილი, ხოლო არავითარი განათლება, არავითარი სწავლა-ცოდნა არა ჰქონია. არც ერთი ევროპიული ენა არა სცოდნია, არა უკითხავს-რა ყორანის მეტი, წერაც თურმე იმოდენად იცოდა, რომ მარტო სახელსა და გვარს აწერდა და ზოგნი ამბობენ, ამასაც ვერ ახერხებდაო. აქედამ ცხადია რა ღირსება უნდა ჰქონოდა რჩევას ამისთანა კაცისას, რომელსაც ყოველ შემთხვევაში სულთანი სხვაზე უფრო მეტად უჯერებდა და ენდობოდაო.

მეორე ძალიან დაახლოვებული კაცი სულთანისა ყოფილა აბულ-ჰედდა არაბი ალეცის აღელვებულს პირის სახეს. ამასობაში სადგურსაც მივატანეთ.

ქალი შეუდგა ბავშვის ბარგის შეხვევას. მეც ავათვალიერე ჩემი ბარგი, მატარებლის გაჩერების მოლოდინში. ჩამოვარდა სიჩუმე. ყმაწვილი კაცი მიჰყუდებოდა სკამის ზურგს და ჰყლაპავდა თამბაქოს კომლს. გაჩერდა მატარებელი და შემოცვივდნენ ბარგის გამტანნი. მე გავჩერდი ფანჯარასთან და ვათვალიერებდი ვინც უნდა დამხვედროდა. ქალმა გადასცა ბარგი ერთ-ერთს მათგანს, ჩაჰკიდა ხელი ბავშვს და თავისს დაკვრით და კეკლუცის ღიმილით გამოეთხოვა იქვე ვაგონის კარებთან მდგომს თავისს მომუსაიფე ყმაწვილ კაცს. ფანჯარასთან მიმავალმა თვალი მოჰკრა ვიღაცას, პირზედ ღიმილი მოუვიდა და თითქო აღარც-კი ახსოვს რამდენიმე საათის გულ-დამწველი ლაპარაკიო, მიუბრუნდა შვილს: „პაიდომ სკარეი, მიშიჩკა, ვონ პაპა ნას ჟდიოთ“ და მოეფარა შვილს.

ყმაწვილმა კაცმა გააყოლა ზიზღით სავსე თვალები; მერე ველარ მოუთმინა გულმა და დაატანა ზედ ზიზღითვე წარმოთქმული სიტყვები:

— ო, ო, საბრალო აჩრდილო ჩვენის დიდებული დედებისა და ისიც განქარდა.

მეც ჩამაფიქრა ამ საგანმა და ვინ იცის როდემდის გასტანდა ეს ფიქრი, ფანჯარასთან რომ არ გამეგონა ჩემი სახელი!..

ნ. ყიფიანისა.

1895 წ. სექტემბერი
ს. ქვიშხეთი,

სათვის, როდესაც დროს ჰკარგავდა და ფიქრობდა ვითომ-და რაღაც საშშობლოზედ, რაღაცა ენაზედ... საშველი!.. მწარედ დაბოლოვა სიტყვა ყმაწვილმა კაცმა.

— თქვენ სულ უიმედო შექმნილხართ, დალოცვილო, საყვედურის კილოთი მიუგო ყმაწვილმა ქალმა; ჩემის აზრით თქვენ აჭარბებთ ყველა ამას; ტყუილად გაგტეხიათ გული და უსამართლოდაც ამტყუვნებთ ჩვენს ინტელიგენტებს. ვერ დაჰკვირებიხართ, რომ ეხლა მთელი ჩვენის ახალი თაობის ფიქრი სულ ჩვენის სამშობლოს კეთილდღეობისაკენ არის მიმართული: სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებანი ცდილობენ ხალხის განათლებას, მათის მდგომარეობის ნივთიერად გაუმჯობესებას. აბა, დაკვირდით, წინად დაარსებული ერთი დაწესებულებაც არ გაუშვიათ უპატრონოდ და თავისს მზრუნველობა არ მოუკლიათ... ყველაფრისთვის ზრუნავენ, ყველაფრის გაუმჯობესობას ცდილობენ... განა ეს ცოტა არის?!

ყმაწვილმა კაცმა ნაღვლიანად ჩაიცინა:

— მაგას-კი ნუ მეუბნებით, ბატონო, ის მიბრძანეთ გააუმჯობესეს-კი რამე, რასაც ხელი მოჰკიდეს, თუ ჯერ ყველაფერი მხოლოდ სურვილადა რჩება? მართალია ზოგიერთებს სურვილი დიდი აქვთ, გულითა და სულითაც უნდათ წარმატებაში იყოს ჩვენი საქმეები, მაგრამ რა არის „ზოგიერთნი“ უმრავლესობასთან შედარებით!..

აი, თუნდა აიღეთ მაგალითად ჩვენი თეატრი. ეს ორი თუ სამი წელიწადია, რაც ჩვენმა ინტელიგენტებმა იკისრეს იმისი წარმოება. მგონია, რომ თქვენც დაესწრებოდით რამდენსამე წარმოდგენას, ზოგს გაზეთებიდგან შეიტყობდით და აბა მიბძანეთ, რა განსხვავებაა საქმეთა და გარემოებათა წინა წლებთან შედარებით, როდესაც თეატრი ერთის განკარგულების ქვეშ სწარმოებდა? ჩამოვარდა ცოტა ხნის სიჩუმე.

— ეჰ, რომელი ერთი უნდა მოსთვალოს კაცმა? განაგრძო ყმაწვილმა კაცმა, ერთის სიტყვით ითქმის ყველაფერი: სიტყვა ბევრი, საქმე-კი არც ერთი. ჯერ ისევ სხვების ნაშრომს დასტრიალებენ თავს და იმათთვისაც ვერ მოუვლიათ წესიერად. ნეტავი ვიცოდე, რისთვის ჰკრელებენ გაზეთის ნომრებს იმ ამბებით, რომ „ამა და ამ სოფელში სხვა-დასხვა მიზეზებისა გამო ქართული ენა ქარწყლდება, მოგვეშველეთ სკოლებით, წიგნებით, გაზეთ-ჟურნალებითა, ნუ დაგვაკარგვინებთ დედა-ენასაო“. ან: „აქა და აქ სომხები დიდს თავხედობას სწევენ, ჩვენის ძველის-ძველს შენობების ნანგრევებს ზედწარწერებს ნახშირით ლესვენ, რომ არავინ ამოიკითხოსო“ და სხვა. განა გამოდის რამე ამითი, განა ამ ბოროტის საწინააღმდეგოთ ჰფიქრობენ რასმე? არაფერი, ბატონო, არაფერი. წაიკითხვენ ამისთანა ამბავს, განრისხდებიან, შესწუხდებიან, დააპირებენ კიდეც საქმის შველას და მერე... მიყრუვდეს თქვენი მტერი, როგორც ის მიყრუვდება.

— მაგაშიაც გარემოება უშლის ხელს, მიუგო ქალმა. თქვენც კარგათ იცით, რომ ბევრის შეცვლა და გამოცვლა უნდათ ხოლმე, მაგრამ ხომ გაგიგონიათ რუსული ანდაზა: „სიხარულით შევიდოდი სამოთხეში, მაგრამ ცოდვები არ მიშვებენო“.

— არა ბატონო, არა! თუმცა ეგეც არ არის უმართლო, რასაც თქვენა ბრძანებთ, ვინ იტყვის მაგის უარს, მაგრამ ბევრში ძალითაც ვიფუჭებთ საქმეს. „ბავშვი თუ არ შემოგეტიროს, ხელში ნუ აიყვანო“, ნათქვამია. თუ-კი ჩვენ თითონ არ დავანახვებთ ვისაც ჯერ არს ჩვენს გაჭირვებას, თუ-კი ჩვენ თითონ არ მოვაგონებთ ჩვენს თავს, სხვას აბა რა ენაღვლება, რისთვის გაიტეხს თავსა. და განა ამ შემთხვევისათვის-კი არა გვყავს საკმარისად დამსახურებულნი პირნი, რომ უწყინარად, მოხერხებით გაერიგებინათ ჩვენთვის საზოგადო სასარგებლო საქმეები? მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ბევრს არავის უტოკავს გული ჩვენის ძველის გმირებისა, რომელნიც სამშობლოს კეთილ-დღეობაზე ჰფიქრობდნენ!.. ალარ არის, ალარ, გაშრა მაღალი სული და გული, გაჰქრა დაუღალავი მოღვაწეობა და თავის განწირვა!.. ალარც აქეთ ვართ და ალარც იქით და თუ ვართ—უფრო იქით. აქ ყმაწვილი კაცი წამოდგა ფეხზედ და გაიარ-გამოიარა, თითქოს ამით უნდოდა აღელვებული გულის დამშვიდება. მერე ისევ დაჯდა თავისს ალაგას და ერთი წამის ჩაფიქრების შემდეგ განაგრძო იმ კილოთი, თითქო თავისს თავს ელაპარაკებაო. ნეტავი რამ ჩაუნერგა ეს გულგრილობა თავის ერისადმი, თავისს ქვეყნისადმი, თავისს მოძმისადმი? რად არ ესიქადულებათ თვისი ქვეყნის ყველა კარგი და რად შეჰხარიან მხოლოდ სხვისას? რათ ეთაკილებათ თავისი ენა, რა ნახეს მასში სამარცხვინო? ნუ თუ სხვა ენაზედ უფრო ტკბილად ეტყვის ნანას მშობელი დედა თავისს შვილს? ნუ თუ მათი ტურფად შემკული ქვეყანა სხვა ქვეყნებს ჩამოუვარდება სიმშვენიერით? ნუ თუ მათი ისტორია საკმარისად ბრწყინვალე არ არის? ნუ თუ მათი მეფენი უფრო მკრთალად ეჩვენებიან მათ სხვა მეფეებთან შედარებით? ნუ თუ ჩვენნი გმირთა-გმირნი, ანუ სჯულისათვის წამებულნი წმინდანნი ღირსეულად დიდებით არ იხსენებიან უცხო პირებთაგანაც-კი? ნუ თუ ადამიანური ღირსებანი სხვებზედ ნაკლებად მოიპოვებოდა ქართველებში, სხვებზედ ნაკლებად შეუთვისებიათ ქრისტეს მცნებანი ჩვენს წინაპართ?! არა, ათას-ჯერ არა!!. მაშრად თაკილობენ ქართველობას, რომ გვარსაც-კი სცვლიან ზოგი-ერთნი სხვა დაბოლოვების მიმატებით? რად არ არჩევენ თავისს მოძმეს სხვებში? არა მგონია, რომ თავისის თავის ორგულს სხვამ ერთგულობა დაუჯეჯეროს; ანუ და ის რომელმაც თავის დაფასება არ იცის, ის სხვის თვალშიაც საეჭვო არ იყოს!

აქ სიტყვა გაუწყვიტა ყმაწვილს კონდუქტორის შეძახილმა.

— ქალაქის ბილეთები, ბატონო, თქვენი ბილეთი, მიუბრუნდა ყმაწვილ კაცს.

ყმაწვილმა კაცმა მოიჩხრიკა ჯიბეში და გადასცა ბილეთი კონდუქტორს, რომელიც მანამდისინ გაკვირვებით შესცქეროდა ყმაწვილი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პპოელი. წინად იგი გლახა-მთხოვარა დერიშად ყოფილა. დადიოდა თურმე აქედან იქით და ჰგალობდა ყორანის ლექსთა. მთხოვარადვე მოსულა კოსტანტინეპოლში და ერთს მეჩეთში ყორანის ლექსთა მგალობლად დამდგარა. არ იციან-კი რა გზით და რით შეიხის გული მოუგია, იმ შეიხისა, რომელსაც სულთანთან დიდი ხმა და პატივი ჰქონია. ერთხელ სულთანს ენახა რაღაც უცნაური სიზმარი, რომელსაც ძალიან შეეწუხებინა. ძალიან მოსდომებოდა შეეტყო რას მოასწავებს ეს სიზმარი. შეიხს ურჩევია აბულ-ჰედს შეუძლიან სიზმრის აღხსნა, რადგანაც ამისთანაებში დიდი ოსტატიაო. დერვიში მიუწვევია სულთანს თავისთან. სულთანს უამბნია სიზმარი. დერვიშს უთქვამს რომ დიდის ბედნიერების მომასწავებელი სიზმარიაო. სულთანს ბევრი უჩუქებია, რადგანაც დიდს სიხარულს მისცემია. სულთანს და დერვიშს ერთმანეთთან მოენის შემწეობით ულაპარაკნიათ, რადგანაც დერვიშს ოსმალური არა სცოდნია და მარტო არაბული სცოდნია. წეს-რიგი ნებას არ აძლევს სულთანს ილაპარაკოს, თუ არ ოსმალურად. რამდენსამე დღის შემდეგ აბულ-ჰედი მისულა სასახლეში და უთქვამს წინასწარმეტყველმა მაჰმადმა ერთი რამ მომანდო სულთანს მოვახსენოო. უპასუხნიათ ჩვენ გვითხარ და ჩვენ მივახსენებთოო.

„არას გზით არ შეიძლებაო, შეუძახნია დერვიშს: მე სულთანი მარტო უნდა ვნახო და მე თვითონ მოვახსენოო. მაშინ უთხრეს, შენ ხომ ოსმალური არ იციო. დერვიშს თავმოწონებით ასე უპასუხნია: „მე წინასწარმეტყველმა ჩამაფურთხა პირში და იმავ წამს ოსმალური ვისწავლეო“. სულთანს ეს ამბავი რომ შეეტყო, უბძანებია პოლიციის უფროსისათვის გამოეძიებინა ეს საქმე. გამოძიებას დაუმტკიცებია, რომ იმ დრომდე აბულ-ჰედს თავისს დღეში ოსმალურად ხმა არ ამოუღია. ამ გზით სასწაული დამოწმდა და დამტკიცდა. ამის შემდეგ აბულ-ჰედდი დაუბარებია სულთანს, მარტოს მიუღია და აქ მოუხსენებია დაბარებული წინასწარმეტყველისა. არავინ იცის, რა იყო დაბარებული, ან რად მოსდომებია წინასწარმეტყველს ამისთანა მოციქულობა დერვიშისა. საქმე-კი იმაშია, რომ სწორედ მას აქედ აბულ-ჰედდა დაიშინაურა სულთანმა და ოსმალეთის მფლობელის მრჩეველთა შორის იმ მთხოვარად ყოფილმა კაცმა დიდად შესანიშნავი ადგილი დაიჭირა.

მესამე შინა-კაცი სულთანისა არაბის შეიხია, სახელად ზეფირი ქაბიდამ. ეს დაუშინაურებია სულთანს იმ მიზეზით, რომ სულთანი მოურჩენია თავისის საკუთარის წამლით მეტ-ხორცისაგან, რომელიც ფეხზე გამოსვლია. (ბ. ი ლ.)

თუ ყოველივე ეს მართალია და სულთანი აბდულ-ჰამიდი მართლა ამისთანა კაცების ხელშია, ადვილად წარმოსადგენია რად არის ასე არეულ-დარეული ოსმალეთის საქმეები.

წერილი რედაქციის მიმართ. *)

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ პატარა შენიშვნას ალაგი დაუთმოთ და დაბეჭდოთ.

მართალია მე ავათ გახლავარ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალეც, მოვრჩები, რაც შეეხება ჩემს უექიმობას და უსაშვალობას ეს-კი სიმართლეს მოკლებულია. მე ჯერ ხსენებულ წერტილამდის არ მივსულვარ და იმედი მაქვს, რომ ვიდრე ცოცხალი ვიქნები, მინამდის არც მივაღწევ ხსენებულს წერტილამდის.

მარადის თქვენი პატივის მცემელი
ზ. ჯიჯინაძე.

18 იანვარს.

*) ბოდიშს ვიხდით პატივცემულ ზაქ. ჯიჯინაძის წინაშე იმ კორექტურულის შეცდომის გამო, რომლის გასწორება ჩვენ თვითონ გვინდოდა დღეს და რომელმაც გამოიწვია ეს წერილიც. გუშინდელს ამბავში უნდა ყოფილიყო: „მივაქცევთ ჩვენის ექიმების ყურადღებას“ და არა „საზოგადოებისა“, როგორც აქ შეცდომით ეწერა.

რედ.

წარსულის წლის ქრისტიშობისთვის 28-ში სოფ. ქვემო-ჭალას ადგილობრივ სტენის მოუკარეთ გამართეს წარმოდგენა ჩემდა რწმენებულ სკოლის სასულ საქმო განყოფილების სასარგებლოდ. მთლად შემოსავალი იყო 55 მ. 20 კ. სტენის მოსაწყობად დაიხარჯა 10 მ. 55 კ.; დარჩა 48 მ. 65 კაპ., რომელ ფულიდამაც 40 მანეთად სასწავლებელმა შეიძინა სულის საკერავი „მაშინა“ ზინგერის სისტემისა. გარდა ამისა ზოგ ზოგი გაუიდული ბილეთებისა დაგვრჩა ასადები 9 მ. 50 კ. დანარჩენის ფულით (სულ იქნება 18 მ. 15 კ.) სასწავლებლის გამგეობამ გარდასწყვიტა შემოსოს სკოლის ღარიბი მოწაფეები.

ნება მიბოძეთ თქვენის პატიოსანის გაზეთ «ივერიის» საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ამ კეთილ საქმისათვის შემდეგ პირთ: კნ. ა. ი. ფალავანდიშვილისას, კნაჟ. ნ. გ. და ე. ი. ამილახვარო, ქ-ნს ე. ე. პარეკაძეს, თ.თ. ვ. გ. და ნ. ი. ამილახვართ, ბ-ნს ბ. ზ. ზანდუკელს, გ. პარეკაძეს, გ. ჯანდიშვილს, ალექსეევ თ. რეკაზ ამილახვარს, რომელმაც დიდად შეგვიწყო სული თავისის სახლის დათმობით და ბ-ნს ა. ბ. უაზბეკს, რომელმაც არ დაზოგა თავისი შრომა და ბილეთები გაგვიყიდა.

ქვემო-ჭალის სკოლის გამგე-მასწავლებელი
ალ. მიქელაძე.

10 იანვარს 1896 წ.
ს. ქვემო-ჭალა.

ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოწაფეები დიდს მადლობას გიძღვნით გაზეთ „ივერიის“ უსასყიდლოდ დათმობისათვის. იმედია, სხვა ქართული რედაქციებიც არ მოგვაკლებენ თავისს ყურადღებას და თავისს გამოცემათ გამოგვიგზავნიან.

ჩვენ იმდენად დახამებულნი და მწყურვალნი ვართ ქართულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთების კითხვას, რომ არა გვგონია სხვა რომელიმე სასწავლებელი იყოს ასეთს მდგომარეობაში.

ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის
ქართველი მოწაფეები.

ქ. ტფილისი. 1896 წ. 18 იანვარს.

შემოწირულება.

წარ კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს: 1) თინათინა ქულაშვილისამ ორი ძველი ქართული სიგელი (ერთი 1696 წლ., მეორე 1733 წ.) და 2) ალექსი თამაშვილმა ერთი ძველი ბერძნული ვერცხლის ფული.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

საქართველოს თავადნი.

თავადნი ქობულიშვილნი. საქართველოს მეფის ერეკლე I-ის 1677 წლის გუჯარში მდიანი ონანი და შვილნი მასნი: თამაზ, ზურაბი, გიორგი, ნიკოლოზ, დიმიტრი, გურგენ და მაშკა ქობულიშვილნი თავადებად არიან წოდებულნი.

თავად ქობულიშვილთა გვარი აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წელს რუსეთის მოსაკრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

7 მარტს, 1826 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა სიაში შეტანილ არიან: მაიორი თავადი კეკენი (იგივე სერგი) დავითის ძე ქობულიშვილი და შვილნი მისნი: სოლომონი, დავითი, ივანე და ადამი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 13 აპრილს 1849 წელს, 24 სექტემბერს 1851 წელს და 8 აგვისტოს 1860 წელს ამ გვარს შემოუერთდნენ თავადნი ქობულიშვილნი: ნიკოლოზ კეკენის ძე, იოსები, სვიმონ და სოლომონ ადამის ძენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 იანვარი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: «სამხედრო წესდებათა გამომცემელ ნაწილის უფროსს, გენერალ-მაიორს კოლბეს, უმოწყალესად ვნიშნავთ სამხედრო სამინისტროს უფროსის ინტენდანტის თანაშემწედ.

18 იანვარს საზამთრო სასახლეში ხელმწიფე იმპერატორს და იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს ჰქონდათ გამართული მეორე ბალი, რომელზედაც მიწვეული იყო 1000 კაცი.

სამხედრო აკადემიის საფიზიკო კაბინეტში დაიწყეს გამოცდა უჩინარ საგნების ფოტოგრაფიით გადაღებისა პროფესორ რენტგენის მიერ მოგონილ საშუალებით. საშუალებას ცდის პროფ. ეგოროვი ორის ასისტენტის მონაწილეობით. პირველი ცდა ბრწყინვალეთ დასრულდა.

ბერლინი. ხმა გავრცელდა, რომ კანცლერი თავ. ჰოჰენლოე სამსახურს თავს ანებებსო. მის მოადგილეთ ასახელებენ გრაფ ეილენბურგს.

ბერლინი. პოზნანში გამოსცადეს პროფესორ რენტგენის საშუალება უჩინარ საგანთა ფოტოგრაფიით გადაღებისა და ცდამ საშუალება მშვენიერად გაამართლა: გადიღეს ფოტოგრაფული სურათი 14 წლის წინად დაჭრილის კაცისა და აღმოჩნდა ალაგი, სადაც ამ კაცს ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

მილანი. რომში ხმა არის, რომ შოანელები თანდათან უახლოვდებიან გენერალ ბარატიერის ჯარების უმთავრეს ბანაკს.

ლონდონი. საზოგადოების ცნობისმოყვარეობას აღელვებს ის გარემოება, რომ სესილ როდსმა დაიგვიანა გზაში. დაგვიანებას ხსნიან როდსის ავათმყოფობით, რომელიც გამოიწვია მაგარი სასმელების გადამეტებულ ხმარებამაო. ამბობენ, როდსმა მწუხარებისა გამო სიმთვრალე დაიწყოო.

გაზეთები ჰკიცხვენ გაზეთ «ტაიმსის» აგიტაციონურს პოლიტიკას ტრანსვაალის საქმეში და აცხადებენ იმედს, რომ გაზეთის რედაქტორს ჩამოართმევს ჩვენებას კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ტრანსვაალში ინგლისელთა შესევის საქმე, რათა ამით გამორკვეულ იქმნას, რა კავშირი ჰქონდა „ტაიმს“-ს ტრანსვაალის საქმეებთან.

„ივერიის“ ფოსტა

არ დაიბეჭდება შემდეგი ლექსები: „თ. რ. დ. ერისთავს,“ „გაზაფხული“, „ჩემს ბედს“ და „ახალწლის გამო“.

განცხადებანი

„საბავშვო საყვადმყოფო“

„იასლის“ საზოგადოებისა

ილებენ ბავშვებს, მძიმე გადამდებ სენით ავადმყოფთ (ყვავილით, წითელით, ყელპირვებით, დიფტერიტითა და სხ.) ძუძუთა ბავშვებთან ერთად მიიღებიან მათი დედებიც, ანუ ძიძები. მიღება ავადმყოფთა ყოველდღე შეიძლება. წამლობა და ავადმყოფთა შენახვა უფასოა. (ვერა, წყნეთის ქუჩა, სახლი ხალიაპინისა).

(5—1)

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავარცლებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის

ლექსები და წერილები.

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

მამის ერთგული.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

მტრედი.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.

ხელ-მეორედ გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა,

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

წიგნი 63 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხან. სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

გამოვიდა და ისყიდება

„ოსმალეთ ხონელი ბ. მისი ამირან დარეჯანიანი“

წერილი მ. ჯანაშვილისა.

(60 გვ.. ფასი 10 კაპ.)

1896. ГОДЪ ШЕСТОЙ. 1896.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1896 ГОДЪ

На ежемѣсячный литературно-историческій журналъ

„ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“.

Въ 1896 году „Вѣстникъ Иностранной Литературы“ будетъ издаваться въ своемъ обычномъ объемѣ. Въ составъ журнала войдутъ: Классическія произведенія.—Романы, повѣсти и разсказы.—Маленькая юмористика.—По вопросамъ общественнымъ и нравственнымъ.—Критическіе этюды.—Новое о знаменитыхъ писателяхъ.—Россія заграницей.—Научныя новости.—Историческіе очерки, разсказы и анегдоты.—Изъ заграничной хроники.—Стихотворенія.—Мелочи.

Въ отдѣлѣ беллетристики въ первыхъ книжкахъ „Вѣстника“, между прочимъ, будутъ напечатаны новые романы *Альфонса Додэ, д'Аннунціо, Э. Рода, м-съ Уардъ, Георга Эберса,* автобіографія знаменитой артистки Элеоноры Дузэ, новые разсказы *Киплинга и Стоктона.* Въ теченіе года будутъ помѣщаться также одновременно съ ихъ появленіемъ заграницей новые романы *Эмиля Зола. Поля Бурже, Марселя Прево и Анатоля Франса.*

Съ января 1896 г. въ Иллюстрированномъ Приложеніи будетъ печататься въ переводѣ по мѣрѣ появленія по англійски,
новый отдѣлъ историческаго труда профессора Вилліама Слоона

НОВОЕ ЖИЗНЕОПИСАНІЕ
НАПОЛЕОНА I,

заключающій въ себѣ характеристику эпохи первой имперіи, обзоръ государственной дѣятельности Наполеона I и его кампаній, а также исторію его паденія и узничества.

По новымъ матеріаламъ, извлеченнымъ изъ различныхъ національныхъ архивовъ и мемуаровъ,

Обильно украшенное иллюстраціями.

Подписная цѣна на 1896 годъ прежняя:
съ доставкою и пересылкою **4** р. | безъ доставки и пересылки **3** р. **50** к.

„Вѣстникъ Иностр. Литерат.“ за прежніе года

продается по **4** р. годъ съ пересылкою до всѣхъ станцій желѣзныхъ дорогъ товаромъ малой скорости, а съ пересылкою по почтѣ за каждый годъ на 2 рубля дороже.

Продолжается подписка на 1896 годъ по той же цѣнѣ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ Редакціи, госгинный дворъ, Зеркальная линія, № 63, магазинъ Пантелеева (противъ Пажескаго Корпуса); въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Редактор *Ѳ. И. Булгаковъ.* Издатель *Г. Ѳ. Пантелеева.*

Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Января 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.